DOI: 10.67363/3xqrn4gh

Diana Tkebuchava
https://orcid.org/0000-0002-4337-3259
Academic Research Coordinator,
BRAMS Institute

Metamorphosis of Terminology in Media Studies

(Abstract)

KEYWORDS: Terminology, Public Relations (PR), Propaganda, Intrigue, Tendency, Media

Communities routinely revise their terminology to reflect changing values and to manage public perception. A prominent historical example is the replacement of "propaganda" with "public relations." Harold Dwight Lasswell observed that in 1928, the term public relations (PR) arose partly to shield the profession from the pejorative associations of propaganda; as "propaganda" acquired connotations of manipulation and hostility, practitioners adopted gentler labels such as Community Relations Board, Public Education Specialist, and Community Relations Advisor.

A parallel process is visible in contemporary Georgia. Words with Soviet resonances – notably "collective" – have been supplanted by neutral, market-friendly equivalents such as "teamwork." A parallel process is evident in contemporary Georgia: Soviet-era terms such as "collective" have been replaced by neutral, market-oriented equivalents like "teamwork." Political alignment shifted from Russian to Western influence after independence, a realignment reflected in linguistic change. Similarly, the replacement of "tendency" by "intrigue" indicates

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

the rise of more sensationalist discourse; such lexical choices both reflect and reinforce evolving media incentives.

Such terminological shifts highlight the strategic role of skilled communicators as mediators of public meaning. Egon Erwin Kisch argued that analytical journalism goes beyond mere reporting of facts; it interprets causes and effects and discloses an author's intentions and predispositions. Kisch's reading of Lion Feuchtwanger's essay on Sergei Eisenstein's *Battleship Potemkin* (1925) illustrates how Weimar-era critics described the film as "replacing tendency with intrigue," signalling a broader aesthetic and rhetorical transformation in the press.

At the heart of journalism lies the authorial perspective: the selection of facts, the framing of causality, and the admission (or concealment) of bias. In analytical journalism, then, lexical change – the metamorphosis of terminology – matters because words do more than label phenomena; they reconfigure how audiences perceive motives, agencies and outcomes. When a community renames a practice, it often seeks not only to soften judgement but to reorient public discourse and recalibrate power relations. Tracking these linguistic shifts, therefore, offers a vital lens for media studies, revealing how evolving vocabularies both respond to and produce cultural and political change.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

DOI: 10.67363/3xqrn4gh

დიანა ტყებუჩავა
https://orcid.org/0000-0002-4337-3259
აკადემიური კვლევების კოორდინატორი,
ბრამსის ინსტიტუტი

ტერმინოლოგიური მეტამორფოზები მედიალოგიაში

საკვანძო სიტყვები: ტერმინოლოგია, საზოგადოებასთან ურთიერთობა, პიარი, პროპაგანდა, ინტრიგა, ტენდენცია, მედია

ზოგჯერ ადამიანებს (საზოგადოებებსაც) ამა თუ იმ საბაბითა თუ მიზეზით, ტერმინოლოგიის „გაახლების“ სურვილი უჩნდებათ. ასე, თავის დროზე სიტყვა „პროპაგანდა“ PR-მა ჩაანაცვლა: „გამოჩენილმა ამერიკელმა პოლიტოლოგმა და კომუნიკაციის თეორეტიკოსმა ჰაროლდ ლესველმა 1928 წელს განმარტა, რომ ტერმინის „საზოგადოებასთან ურთიერთობა“ (PR) გაჩენის მიზეზი გახდა პროფესიის იმიჯის დაცვის სურვილი სიტყვა „პროპაგანდის“ ნეგატიური მნიშვნელობის დამღუპველი ზეგავლენისგან: „პროპაგანდა ზიზღისა და სიძულვილის ეპითეტად იქცა, რის გამოც პროპაგანდისტებმა თავშესაფარი იპოვეს ისეთ სახელწოდებებში, როგორიცაა „საზოგადოებასთან ურთიერთობის საბჭო“, „საზოგადოებრივი განათლების სპეციალისტი“, „საზოგადოებასთან ურთიერთობის მრჩეველი“.[1]

ანალოგიურად, სულ ახლახან, პირდაპირ ჩვენს თვალწინ, სიტყვა კოლექტიური (უთუოდ „საბჭოური არომატისა“ გამო), ტერმინით – გუნდური „გადაკეთილშობილდა“; ტერმინი ტენდენცია ყვითელი მედიის ფავორიტმა – ინტრიგამ ჩაანაცვლა და ა.შ.

არადა, არსი, თითქმის ყველგან, უცვლელი რჩება...

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

აქ უეჭველად გაგვახსენდება ჩვენი უჩუმრად, უპრეტენზიოდ მოღვაწე, ბრძენი ერლომ ახვლედიანი: „ყოველი ცვლილების სარგებლიანობა იზომება არა იმით, რაც იცვლება, არამედ იმით, რაც უცვლელი რჩება“.[2]

მედიამოღვაწეობის ანუ „სიტყვით დარწმუნების ხელოვნების“, როგორც კომუნიკაციური აქტორის არსზე როცა ვფიქრობდით, ეს ტერმინოლოგიური „მეტამორფოზები“ გაგვახსენა ცნობილი მედიათეორეტიკოსის ეგონ ერვინ კიშის ერთმა დაკვირვებამ: „ფეიხტვანგერის ნოველაში „ჯავშნოსანი პოტიომკინი“ მოთხრობილია, რომ ამ კინემატოგრაფიულ შედევრზე ვეიმარის რესპუბლიკის გაზეთები წერდნენ: „ამ ფილმში ინტრიგას ცვლის ტენდენცია“... არა აღსაწერი ფაქტები ან მოვლენები თავისთავად, არამედ, მიზეზთა და შედეგთა ავტორისეული ინტერპრეტაცია, ავტორის ნება, ავტორისეული ტენდენცია წარმოადგენს პუბლიცისტიკის საფუძველს“.[3]

სწორედ ეს საფუძველი: „არა აღსაწერი ფაქტები ან მოვლენები თავისთავად, არამედ, მიზეზთა და შედეგთა ავტორისეული ინტერპრეტაცია, ავტორის ნება, ავტორისეული ტენდენცია“ გვევლინება ჟურნალისტიკის, განსაკუთრებით კი, მისი „ხერხემლის“ – პუბლიცისტიკის არსად.

რაც შეეხება ინტრიგას, გარკვეულწილად, სათანადო პროფესიონალიზმის შემთხვევაში, უნარიანი ავტორის არსენალში ისიც შესაძლოა ეფექტურად გამოვიყენოთ ჟურნალისტურ პრაქტიკაში, ოღონდ, გარკვეული წინაპირობის დაცვითა და დელიკატური ნიუანსების გათვალისწინებით.

ჩვენ ამ ორი ალტერნატული ტერმინის: „ტენდენცია“ და „ინტრიგა“, ლექსიკურ მნიშვნელობებს დავაზუსტებთ, საიმისოდ, რომ დავადგინოთ, რა შემთხვევაშია მართებული მათი გამოყენება და როდის – მცდარი.

ტენდენცია (გერმ. Tendenz < ლათ. tendo „მივისწრაფვი“) – 1) რისამე განვითარების მიმართულება, // მიდრეკილება, მისწრაფება; 2) დედააზრი, იდეა, რომელიც საფუძვლად უდევს რაიმე მხატვრულ ან მეცნიერულ ნაწარმო-

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ებს; 3) წინასწარ შემუშავებული ცალმხრივი აზრი, რომელსაც თავს ახვევენ მკითხველს, მაყურებელს.[4]

სხვაგან გამიჯნულია (ვფიქრობთ, მართებულადაც) პირველი ორი მნიშვნელობა მესამისაგან: 1. ტენდენცია (გერმ. Tendenz; ლათ. tendo „მიდრეკილება რაიმესადმი“); 2. დედააზრი, იდეა, რომელიც საფუძვლად უდევს რაიმე მხატვრულ ან მეცნიერულ (resp. პუბლიცისტურსაც, დ.ტ.) ნაწარმოებს; 3. წინასწარ შემუშავებული ცალმხრივი აზრი, რომელსაც თავს ახვევენ მკითხველს, მსმენელს.[5]

ინტრიგა (ფრანგ. intrigue-დან რუსულის მეშვეობით შემოვიდა ქართულში) – 1. ფარული მოქმედება, ხრიკები, რომელიც მოწყობილია ვისიმე საზიანოდ; 2. (ლიტ.) სიუჟეტის განსაკუთრებულად დახლართული და დაძაბული განვითარება დრამატულ (აგრეთვე, პროზაულ) ნაწარმოებში.[6]

თავისთავად, ტენდენციას, როგორც ავტორის მისწრაფებას, საზოგადოებას შესთავაზოს ამა თუ იმ ფაქტის, მოვლენის არა უბრალო აღწერა, არამედ – საკუთარი მოსაზრება, შეფასება, არსი და მნიშვნელობა, საკუთარი ხედვა ამ ფაქტისა თუ მოვლენისა, დასაწუნი, უარსაყოფი არაფერი აქვს. მიუღებელია ამ სიტყვის მნიშვნელობის მესამე, შესაძლო ვარიანტი, როცა ეს აზრი არის: „წინასწარ შემუშავებული, ცალმხრივი“ და რომელსაც „თავს ახვევენ მკითხველს, მაყურებელს“. ანალოგიურად იმისა, რომ პროპაგანდა, თავისთავად კი არ არის „დანაშაული“, როცა მართალ, ჯანსაღ აზრს აწვდი საზოგადოებას იმ მიზნით, რომ დაარწმუნო ჭეშმარიტის ჭეშმარიტებაში, არამედ, სწორედ იმის პროპაგანდაა პროფესიული ხელმრუდობა, რაშიც არც თავად ხარ დარწმუნებული, ამიტომ, ვერც ასაბუთებ სათანადოდ, ვინაიდან სიმართლეს არ შეესაბამება ის, რის პროპაგანდასაც ეწევით, უბრალოდ, თქვენ რაღაც მიზნით, საკუთარი თუ სხვისი (დამკვეთის) ინტერესებიდან გამომდინარე ჩადიხართ ამას. სწორედ ამაზე წერდა ჯერ კიდევ წინა საუ-

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

კუნეში თავის გახმაურებულ რომანში „ტრიუმფალური თაღი“ ერიხ მარია რემარკი: «The newspaper boys passed with the latest editions. Morosow bought the «Paris Soir» and the «Intransigeant». He read the headlines and pushed the newspapers aside. «They are all damned counterfeiters» he growled. «Have you ever observed that we are living in the age of counterfeiters?»

«No. I thought we were living in the age of cans».

«Cans? How so?»

Ravic pointed at the newspapers. «Cans. We don't have to think any more. Everything is pre-meditated, pre-chewed, pre-felt. Cans. All you have to do is open them. Delivered to your home three times a day. Nothing any more to cultivate yourself, or let grow and boil on the fire of questions, of doubt, and of desire. Cans.» He grinned. «We don't live easily, Boris. Just cheaply».

«Cans with false labels». Morosow lifted the papers. «counterfeiting! Take a look at that! They buld their ammunition factories because they want peace; their concentration camps becauce they love the truth; justice is the cover for every factional madness; political gangsters are saviors; and freedom is the big word for all greed for power. Counterfeit money! Counterfeit spiritual money! The lie as propaganda. Kitchen Machiavellism. Idealism in the hands of the underworld. If at least they would be honest» – He crushed the newspapers together and threw them away».[7]

ყურადღება მივაქციოთ: აქ გახაზულია სიცრუის პროპაგანდა (The lie as propaganda) და არა, ზოგადად, პროპაგანდა; მაგრამ, განა რაიმე განსხვავებაა ამგვარ პროპაგანდასა და იმ „პიარს“ შორის, როცა სიყალბის „გაპიარება“ ხდება? ან კიდევ, თუ ხშირად შესცოდავენ ასე, ჩვენი საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) სპეციალისტები და საზოგადოება ნდობას დაკარგავს მათ მიმართ, კვლავ ტერმინი უნდა შევცვალოთ ნაკლებად „სახელგატეხილი“, ახალი იდენტური სიტყვით? რომ აღარ არის ასეთი გულუბრყვილო ჩვენი მკითხველ-მაყურებელი და

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ისე იოლად აღარ წამოეგება კომუნიკატორთა ანკესზე, როგორც საუკუნის წინათ?

თუ არ გვსურს, რომ ჩვენი ნაწერი ხვალ აღარავის აინტერესებდეს, უდავოა, ასეთი ხელმრუდობა (resp. მკითხველ-მაყურებლის ღალატი) გულშიც არ უნდა გავივლოთ... ისე კი, „პროპაგანდას“ დავარქმევთ თუ – არც ისე ახალ PR-ს (მალე საუკუნის გახდება ეს ტერმინი!), არსი ერთია: კომუნიკატორის (ჩვენს შემთხვევაში, ავტორი-ჟურნალისტის) მისწრაფება, ტენდენცია, მკითხველ-მაყურებლამდე დამაჯერებლად მიიტანოს ფაქტებისა და მოვლენების საკუთარი ხედვა, საკუთარი შეფასება, საკუთარი ინტერპრეტაცია, რასაკვირველია, ჭეშმარიტების ერთგულებითა და ეთიკისა და ზნეობის დაწერილ თუ დაუწერელ კანონთა[8] უცილობელი დაცვით. ყველა დროსა და ეპოქაში ხომ სწორედ ეს იყო და იქნება კიდეც „სიტყვით დარწმუნების ხელოვნების“ მიზანი, ერქვა მას მჭევრმეტყველება, რიტორიკული ხელოვნება, ჟურნალისტიკა, პუბლიცისტიკა თუ სხვა რამ. განა შესაძლებელია წარმოვიდგინოთ ავტორი, რომელიც მკითხველ-მაყურებლისთვის არ ირჯება და რომლის უმთავრესი მიზანი არაა დაარწმუნოს თავისი აუდიტორია იმაში, რასაც ამბობს, ან – წერს, რაც თავად სწამს, „რისი ართქმაც არ ძალუძს“? ეს ხომ აფსურდია? და თუ მის ამ სურვილს, მისწრაფებას, პროპაგანდას დავარქმევთ, „საშინელებაა“, ხოლო თუ – PR-ს ან სხვა რამ ახალ ტერმინს – პროგრესული და მისაღები?! ახირებული „ლოგიკაა“...

რაც შეეხება „ინტრიგას“, აქ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა, როგორც ვხედავთ, ასევე ორლესულია: ერთის მხრივ, იგი გულისხმობს თვით ფაქტით (ფაქტებით) მანიპულირებას, „ფარულ მოქმედებას, ხრიკებს, რომელიც მიმართულია ვისიმე საზიანოდ“, რაც, ცხადია, ზნეობრივ (resp.: ჭეშმარიტ, ღირსეულ) ჟურნალისტიკაში აბსოლუტურად მიუღებელი და დაუშვებელია, ხოლო რაც შეეხება ინტრიგას, როგორც „სიუჟეტის განსაკუთრებულად დახ-

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ლართულ და დაძაბულ განვითარებას“, ამის საწინააღმდეგო, ვერავის ექნება, რადგან ეს თხრობას დინამიზმს, სიმძაფრეს, ექსპრესიულობას ანიჭებს და მკითხველზე ზემოქმედების დიდი ძალა გააჩნია, მაგრამ, აქ მთავარია, რის ხარჯზე მოხდება ეს? უდიდესი ოსტატობაა საჭირო ჩვენს „დოკუმენტურ პროზაში“, სიუჟეტის „გამძაფრება ან დახლართვა“ ისე განხორციელდეს, რომ „უმყიფესი მასალა – სიმართლე არაფერში უთმობდეს უელასტიურეს სიცრუეს“,[9] რომ არ დაირღვეს „ჟურნალისტის ათი მცნებიდან“ არც ერთი და არ დავუშვათ „შვიდნი უპატიებელნი ცოდვანი ჟურნალისტისა“... თუ ყოველივე ამის დაცვით შესძლებს ჟურნალისტი „სიუჟეტის დაძაბულ და დახლართულ განვითარებას“, ამას რა სჯობს, თუმცა, პრაქტიკაში აქაც ხშირია გადახრები იოლი პოპულარობის მოპოვებისა და მკითხველის მანიპულირებისა თუ, სხვა რაიმეგვარი უღირსი მიზნითა თუ მოტივაციით, რასაც, ცხადია, გამართლება არ აქვს. მკითხველის განაჩენიც ულმობელი იქნება, როგორც რემარკის პერსონაჟების, გერმანელი და რუსი ემიგრანტების ირონიული დიალოგის შემთხვევაში: „შესაძლოა, ოთახში მეტისმეტად ბევრ გაზეთს ვკითხულობთ,“ – თქვა რავიკმა და გაიცინა. „რასაკვირველია. აბა, ბუნების წიაღში იგი მხოლოდ ცეცხლის გასაჩაღებლად თუ გამოდგება,“ – მიუგო მოროზოვმა. («Very likely we are reading too many newspapers in room», Ravic said and laughed. «Naturally. In the open one only needs them to start a fire»).[10]

„როცა ინტრიგას ტენდენცია ცვლის...“ ამ ორ ტერმინს, ცხადია, გააჩნია შეხების წერტილებიცა და „ზედდების“ მომენტებიც: 1. „ფარული მოქმედება, ხრიკები, რომელიც მოწყობილია ვისიმე საზიანოდ“ (ინტრიგის შემთხვევაში) და 2. „წინასწარ შემუშავებული ცალმხრივი აზრი, რომელსაც თავს ახვევენ მკითხველს, მაყურებელს“ (ტენდენციის ტენდენციურობაში გადაზრდის შემთხვევაში). ეს ორივე მნიშვნელობა ამ ტერმინთა უთუოდ მიუღე-

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ბელი, ბნელი მხარეა. მათი „ზედდების“ დროს, მკითხველ-მაყურებლისთვისაც საზიანო და, დარგისთვისაც.

ანალოგიურად, შეხების წერტილის დანახვა (პოვნა) რთული არაა ორივე ამ ტერმინის დადებითი არსის გათვალისწინებითაც: თუ რისიმე განვითარების მიმართულება, მისწრაფება (ჩვენს შემთხვევაში – ნაწარმოების დედააზრის, იდეის) ხორციელდება სიუჟეტის განსაკუთრებულად დახლართული, დაძაბული განვითარებით, ეს აძლიერებს მკითხველზე ემოციურ ზემოქმედებას და ავტორის თვალსაზრისს დამაჯერებლობას მატებს.

აქ არსებითია ტენდენცია (ნაწარმოების დედააზრის, იდეის განვითარების მიმართულება, ტენდენცია) არ გარდაისახოს ტენდენციურობაში (წინასწარ შემუშავებულ ცალმხრივ აზრში, რომელსაც თავს ახვევენ მსმენელს, მაყურებელს) და, მეორე მხრივ, ინტრიგა (სიუჟეტის განსაკუთრებულად დახლართული, დაძაბული განვითარება) უნებლიედ თუ მიზანმიმართულად არ გადაგვარდეს ინტრიგანობად (ფარულ მოქმედებად, ხრიკებად ვისიმე საზიანოდ). კრიტიკული აზროვნების მოქანავე ბეწვის ხიდზე სიფრთხილით სვლა გვმართებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რომ ტენდენციის გამჟღავნების იდუმალი პროცესი ამგვარ ინტრიგად არ დეფორმირდეს თვალსა და ხელს შუა და მეოთხე ხელისუფლების სიმაღლიდან „მეორე უძველესამდე“ არ ჩამოვდეგრადირდეთ.

განვიხილავთ რამდენიმე ნიმუშს პრაქტიკული პუბლიცისტიკიდან. ნიკოლაი ბერდიაევის ესეში – „ქრისტიანობის ღირსებისა და ქრისტიანთა უღირსობის შესახებ“,[11] ჯერ კიდევ ლიდში, ლიტერატურული ანალოგიის გამოყენებითაა გამჟღავნებული ტენდენცია, თუმცა, რამდენადმე, ვუალიზებულად: „ბოკაჩოს აქვს მოთხრობა ებრაელზე, რომლის მეგობარი ქრისტიანად მის მოქცევას ცდილობდა. ებრაელი ქრისტიანობის მიღებისკენ იხრებოდა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად რომში წასვლა და იქ ეკლესიის სათავეში მდგომი ადამიანების –

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

პაპისა და კარდინალთა ცხოვრების ნახვა სურდა. ქრისტიანი, რომელიც ებრაელის მოქცევას ცდილობდა, შეშინდა და ჩათვალა, რომ მისმა მცდელობამ ფუჭად ჩაიარა". თუმც, მისი ასეთი მოლოდინი არ გამართლდა: „დაბრუნებისას ებრაელს მეგობარი შიშით ეკითხება შთაბეჭდილებების შესახებ, რაზეც მოულოდნელ და ძალიან ღრმააზროვან პასუხს იღებს: რადგან ქრისტიანულმა რწმენამ მთელ იმ უმსგავსობასთან და სისაძაგლესთან გამკლავება შესძლო, რაც მან რომში იხილა და ამის მიუხედავად განმტკიცდა და გავრცელდა, მაშასადამე, იგი ჭეშმარიტი რწმენაა. ებრაელი საბოლოოდ გაქრისტიანდა".[11] აქ ლიდში, ტენდენციის ნაწილობრივ გამჟღავნების ნიშნით, ამერიკული კლასიფიკაციით, კომბო-ლიდის[12] ეს ნიმუში უფრო ახლოსაა მის ბრიტანულ ანალოგთან – თავსატეხ (teaser intro) ლიდთან,[12] ანუ ინტროსთან: „თავსატეხ ინტროს მკითხველი დაუყოვნებლივ მიჰყავს მასალის თემისკენ, მაგრამ ტოვებს არაერთ შეკითხვას და აუდიტორიაც პუბლიკაციის შემდგომ სტრიქონებში ეძებს პასუხებს, ანუ სულმოუთქმელად განაგრძობს კითხვას".[12] ავტორი ასეთი განწყობის შექმნით ისწრაფვის უმთავრესი თეზისის, იმ პრინციპის დამკვიდრებისაკენ მკითხველის შემეცნებაში, რასაც ნაწარმოები ეძღვნება და, თუმც გონებამახვილურადაა მინიშნებული ლიდშიც, ტექსტში გზადაგზა უფრო დამაჯერებლად საბუთდება სხვადასხვა ლოგიკურ თუ ენობრივ საშუალებათა გამოყენებით: „ძველ დროში, როცა რწმენა ძლიერი იყო, ქრისტიანობის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, მისი მარადიული ჭეშმარიტების, მისი მოძღვრებისა და მცნებების მიხედვით ბჭობდნენ. ჩვენი დრო კი ადამიანური ვნებებით მეტისმეტად არის გაჯერებული. ცუდმა ქრისტიანებმა გადაფარეს ქრისტიანობა. ოპონენტებს მათი ცუდი საქმეები, ქრისტიანობის მათმიერი დამახინჯება და ძალადობა უფრო აინტერესებთ, ვიდრე თავად ქრისტიანობა და მისი დიადი ჭეშმარიტება".[11] ოპონენტთა ამგვარი მიდგომის მცდარო-

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ბის დასაბუთებაა მთელი შემდგომი ტექსტი, მისწრაფება იმისკენ, რომ ჭეშმარიტ საფუძველს დაუბრუნდეს ადამიანთა მიმართება ქრისტიანული რელიგიისადმი.

ბერდიაევი იყენებს შედარებითი ანალიზის ხერხს და სხვადასხვა რელიგიასთან მიმართებაში განიხილავს ქრისტიანული რელიგიის თავისებურებებს. აანალიზებს სოციალისტ-მატერიალისტთა მხრივ, დემაგოგიურ შეფასებებსაც და მათ ცრუ ბრალდებებს: „მატერიალისტური სოციალიზმის რეალიზაციის ერთადერთი ჩვენთვის ცნობილი რუსული გამოცდილება ამ პრეტენზიებს არ ადასტურებს“,[11] წერს ბერდიაევი. იგი აანალიზებს, აგრეთვე, ქრისტიანობის ისტორიულ გზას და დაასკვნის: „ადამიანური ცოდვები და დამახინჯებანი იყო როგორც კათოლიკურ, ასევე მართლმადიდებელ ეკლესიაში, მაგრამ ამქვეყნად ქრისტიანობის ნაკლოვანებანი ღვთის კი არა, ყოველთვის ქრისტიანთა, ადამიანთა ნაკლია. თუ არ ახორციელებთ და ამახინჯებთ ჭეშმარიტებას, ამაში დამნაშავე თქვენვე ხართ და არა ჭეშმარიტება“.[11] ბერდიაევი განიხილავს მონტანიზმს, როგორც „ქრისტიანობაში ყალბი მაქსიმალიზმის“ ნიმუშს, გახაზავს ქრისტიანობის „მკვეთრ განსხვავებას ტოლსტოელობისაგან“: „ტოლსტოი ღვთის მცნებათა შესრულებაში ადამიანებისგან ადვილად ითხოვს მაქსიმუმს და ცრუ მორალურ მაქსიმალიზმში ვარდება“.[11]

დასასრულს, სიტყვისა და აზრის დიდოსტატი ნიკოლაი ბერდიაევი მიდის საბოლოო მრწამსთან: „ადამიანისთვის შეუძლებელი ღვთისთვის შესაძლებელია. ქრისტეს მორწმუნემ იცის, რომ ის ეული არ არის, რომ თავად ქრისტეა მასთან და ცხოვრებაში ქრისტეს სიმართლე მან თვით ქრისტესთან, თავის მაცხოვართან ერთად უნდა განახორციელოს“.[11] ასე ნაბიჯ-ნაბიჯ, დამაჯერებლად ამკვიდრებს მკითხველის შემეცნებაში საკუთარ მიდგომას: „ცხოვრებაში ყველაზე ძნელი სიყვარულის რელიგიის განხორციელებაა, მაგრამ ამის გამო თავად სიყვარულის

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

რელიგია ნაკლებად ჭეშმარიტი და ამაღლებული სულაც არაა. ქრისტიანობის ბრალი არაა, რომ მის სიმართლეს ცხოვრებაში არ ახორციელებენ. ქრისტე დამნაშავე არაა იმაში, რომ მის მცნებებს არ ასრულებენ.[11] როგორც ვხედავთ. ამ ნიმუშში ავტორის სწრაფვას ტენდენციის, ნაწარმოების უმთავრესი აზრის, იდეის გამოხატვისათვის ჭეშმარიტების გაზიარება, განდობა ჰქვია, იმ ჭეშმარიტების, თავად რომ სწამს და რომლის „ართქმაც არ ძალუძს“.

გრიგოლ რობაქიძის „საქართველოს ხერხემალი“,[13] რომელიც პუბლიცისტური ტენდენციის გამჟღავნების კლასიკური ნიმუშია, ნიკოლო მიწიშვილის პასუხად დაიწერა. მას რამდენადმე პოლემიკური ხასიათი აქვს და ტენდენცია, ცოტა არ იყოს მძაფრადაცაა გამოხატული, მაგრამ ავტორს არც ერთი წუთით დალატობს ტაქტის, ზომიერების გრძნობა. თავიდან მისი შეფასება ლაკონიურია: „მწარეა ეს სიტყვები“.[13] ავტორი შეგვახსენებს ნიკოლო მიწიშვილის მოსაზრებას: „როცა გადავხედავ ჩვენს ისტორიას – იქ მე ღვთის ხელს ვერ ვნახულობ. ჩვენი არსებობა დაცინვაა განგებისა ჩვენს თავზე. ჩვენშია ჩამჯდარი ლომი და რწყილი, ეშმაკი და ანგელოზი, ნიჭი და ყიყვი... არის რაღაც შეკოწიწებული და გადაყრილი, მიბნეულ-მობნეული. ხერხემალს ქართული იდეისა მე ვერ ვპოულობ და ვერც აზრს საქართველოისას წარსულში“.[13] მოგვიანებით კვლავ იმეორებს გრიგოლ რობაქიძე თავის ლაკონიურ შეფასებას – „მწარეა ეს სიტყვებიც“ და სხვა ფრაგმენტს გვთავაზობს ნ. მიწიშვილის წერილიდან, რომელსაც არ ეთანხმება, მაგრამ ღელიკატურად ბრძანებს: „ამას სწერს ნიკოლოზ მიწიშვილი. არ არის საჭირო არც გაჯავრება და არც აღშფოთება, როცა ასეთ სიტყვებს კითხულობ. არც ის უნდა იფიქრო, რომ ავტორი ბოროტი აზრით არის „ატროვებული“. აქ უფრო „ტკივილია“ ვიდრე „აზრი“, ეს სულის კრიზისია და ასეთი კრიზისი ბევრს განუცდია“.[13] გრ. რობაქიძეს მართებულად მიაჩნია:

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

„არ არის საჭირო არც კამათი. აქ მხოლოდ ჩვენებაა საჭირო“[13] და აჩვენებს – დამაჯერებლად, ისტორიული ფაქტებისა და ანალოგების მოშველიებით, ლოგიკური მსჯელობით: „მიწიშვილი საქართველოში „ღვთის ხელს ვერ ნახულობს“... რა არის მაშინ „ქართლის ცხოვრება“;[13] მაგრამ არა მხოლოდ ეს: „ევროპაში თავი მოსწონთ მარკ ავრელიით, რომელიც ომშიაც „ჭვრეტდა“ სამყაროს. ჩვენში დავით აღმაშენებელი ომის დროს „სამოციქულოს“ კითხულობდა (ეს ზნე კინაღამ საბედისწერო გახდა მისთვის).

გეკითხებით, რით ჩამოუვარდება დავით აღმაშენებელი მარკ ავრელიის?“[13]

გრიგოლ რობაქიძე აგრძელებს „ჩვენებას“ და მკითხველი უნებლიეთ ერთვება ჭეშმარიტების ძიებისა და დამკვიდრების ამ ცოცხალ პროცესში, გადმოედება „გზნება“ და მისწრაფება ავტორისა: „ევროპაში ლეგენდათაა გადაქცეული „კალეს მოქალაქეთა“ რაინდობა. როდენმა ქვაც კი აამეტყველა მათი რაინდობით. ჩვენში – ასეთი მონუმენტალი სურათი: მონღოლთა ნოინნი სჯიან ქართველ შეთქმულებს. მათთან მიდის მაღალი და ნათელი კაცი: დადიანი ცოტნე. იგიც შეთქმულთაგანია, მაგრამ არ დაუჭერიათ (სხვაგან იყო). ცოტნე ამცნობს ნოინებს, რომ მისი ნდომაა – შეთქმულთა ბედი გაიზიაროს, რადგან იგიც შეთქმულია. მონღოლებს უკვირთ ასეთი სიმართლე ქართველების და შეთქმულებს ანთავისუფლებენ. რით არის ეს ამბავი ნაკლები „კალეს მოქალაქეთა“ ამბავთან შედარებით? არაფრით, შესაძლებელია, მეტიც იყოს“.[13]

შემდგომ რობაქიძე რუსთველის გენიაზე ამახვილებს ყურადღებას და აღშფოთებულია ნიკოლო მიწიშვილის სიტყვებით: „ან რუსთაველი არაა ქართველი, ან და მისი პოემა ადვილად ნაშოვნი საქმეა“.[13] აქ გრ. რობაქიძე მოიშველიებს ისტორიულ ფაქტს: „1902. ნიკო მარმა იერუსალიმში იპოვა ხელნაწერი „ცხოვრება წმ. გრიგოლ ხანძთელის“.[13] ავტორი გიორგი მერჩულე. გამოდის: XX საუ-

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

კუნის თაურამდე არავინ იცოდა, თუ რა საუნჯე ჰქონიათ ქართველებს. ქმნილება ეკუთვნის X საუკუნის შუა პერიოდს. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ეს ქმნილება ქართული გენიის ხალასი ნაყოფია“.[13] მაშასადამე, „ვეფხისტყაოსანი არაა „შემთხვევითი“ ან „ადვილად ნაშოვნი საქმე“.

ანალოგიურად, ქართული გენიის დასტურად მოჰყავს რობაქიძეს ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, ეფრემ მცირე, „რომელთაც ქართულ სიტყვაში გენია გააღვიძეს“.[13] და რადგან ქართული ლიტერატურის შედევრთა რიგი აქ არ მთავრდება, შემდგომ პერიოდსაც თამამად იმოწმებს გულანთებული გრიგოლ რობაქიძე: „განა მინდიას მითოსი გენია არ არის თვითონ? განა აქ არა სჩანს „ღვთის ხელი“?”[13] ანალოგიურად: ვაზის ჯვარი, „ოქროს ვერძის“ ამბავი და მედეას ლეგენდა, ქართველი ქალის სილამაზით მოხიბლული პიეტრო დელა ვალე და ა.შ. და ა.შ. ის არგუმენტებია, რომელთაც გრიგოლ რობაქიძე მისეული „გზნებით“ მოიშველიებს საკუთარი მრწამსის, იდეის, ტენდენციის დასამკვიდრებლად. წარმოუდგენელია მას ვინმემ, ყველაზე „ჩასაფრებულმაც“ კი, ტენდენციურობა დასწამოს... ცხადია, გრიგოლ რობაქიძეს „დაცვა“ არ სჭირდება. ამგვარი ნიმუშები ტერმინის სიზუსტისა და არსებობის უფლების არგუმენტად მოვიშველიეთ.

გენიალურად მარტივ ფორმულას გვთავაზობს ერლომ ახვლედიანი, ურთულესი ფენომენის არსში წვდომისკენ რომ გაგვიყოლიოს: „ნუ მძვინვარებ, როცა მეტოქე შენზე ძლიერ სვლებს აკეთებს და ნუ ლანძღავ მას, პირიქით, მიიჩნიე, რომ სწორედ ის გაძლევს შანსს, მასზე ძლიერი სვლა შეასრულო. ეს არის ეთიკა ბრძოლისა“.[14] ამ დებულების ილუსტრაციად იგი ასეთ ანალოგიას გვთავაზობს: „ჭადრაკის თამაში ძლიერთან უკეთ გამოდის ვიდრე სუსტთან. ესე იგი, ჩემში ხდება შინაგანი შესაძლებლობების მობილიზაცია, ანუ გონება ძლიერ მეტოქესთან ბრძოლაში მთელ თავის რეზერვებს ხსნის“.[14] შემდეგ ეტაპზე ავტორი კიდევ უფრო მიგვაახლოვებს პრობ-

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ლემის არსთან: „ჩვენს პოლიტიკურ სინამდვილეში პირიქით ხდება. რუსეთთან – ძლიერ მეტოქესთან, ან ევროპასთან, რომელიც გარკვეულად ძალადობს, ღირსეული დაპირისპირება გვმართებს. ძლიერ მტერში საჭიროდ რაციონალური ერთადერთი ის არის, რომ შენც მოვალე ხარ, იყო ძლიერი. ჩვენში პირიქით ხდება, მოწინააღმდეგეს ლანძღავენ, ის კი თავის საქმეს აკეთებს. ლანძღვა რა შუაშია? ხომ ვერ დაავალდებულებ მეტოქეს, შენი ინტერესები დაიცვას?“.[14] თუმცა, არც ესაა უმთავრესი სათქმელი, არსი პრობლემისა, რომლის ახსნასაც ესწრაფვის პუბლიცისტი. ეს კერძო საკითხია. გლობალური და პრინციპული სხვა რამაა: „ადამიანი სრულყოფილია იმდენად, რამდენადაც ის ფლობს თავის სისუსტეებს. ნუ იქადნი, რომ სიმართლეს იტყვი, რადგან ადამიანთაგან არავინ იცის, რაა იგი. შენგან საკმარისია, ტყუილი არ თქვა“.[14] დასკვნით ნაწილში ერლომ ახვლედიანი განაზოგადებს სტატიის პათოსს და მიდის დვრიტამდე: „თუ სხვა შენზე უკეთ აკეთებს იმას, რაც შენ გსურს გააკეთო და ამას აღიარებ, შენს თავზე ერთი გამარჯვება ესაა!

შენი უპირატესობა ისიც შეიძლება იყოს, რომ შენ აღიარებ მის უპირატესობას. ნუ დაისახავ მიზნად, იყო ორიგინალური, რადგან ამ სურვილზე არაორიგინალური არაფერია. შენ არ უნდა ეცადო, რომ იყო განსხვავებული და ამით შენი განსხვავებულობა გამოჩნდება. გამოხატვის ფორმის ძიებაში არ დაკარგო შენი შინაარსი.

შენი გამორჩეულობა შეიძლება სწორედ ის იყოს, რომ შენ არ ხარ გამორჩეული. გამორჩეულობა, პოპულარობა ხშირად ძალიან მავნეა, ლახვრად ექცევა შემოქმედს. ბევრი მათგანი დაუღუპავს პოპულარობას.

თუ შენ გულწრფელად შეიტკბე ის, რომ არ ხარ გამორჩეული, ეს კიდევ ერთი გამარჯვებაა საკუთარ თავზე. იქნებ, საბოლოო გამარჯვებაც, რომელიც სულიერი სიმშვიდის გვირგვინს დაგადგამს.

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

საერთოდ, შენი რაობა, შენი არსება არ შეიძლება შედარების საგანი გახდეს. შედარებითი სრულყოფა არ არსებობს, მაგრამ შეგიძლია მიაღწიო სრულყოფას მხოლოდ საკუთარ შესაძლებლობებში და ემჯობინო საკუთარ თავს.

ამისთვის ღირს ბრძოლა“.[14]

ბრძოლის ასეთი მაღალზნეობრივი ეთიკის ფონზე ძალზე კონტრასტული ჩანს მორიგი ნიმუში, რომელიც „სიცრუის პროპაგანდის“ კლასიკური მაგალითია, ამასთან – აგრესიული პროპაგანდისა და ბოროტი ინტრიგის, როცა ავტორის ტენდენცია, მისწრაფება „არის ფარული მოქმედება, ხრიკები, რომელიც მოწყობილია ვისიმე საზიანოდ“: ლავრენტი ბერიას გამოსვლა კომპარტიის X ყრილობაზე[15] მიზანმიმართული, დაშინებისა და მუქარის პათოსით აღსავსე სიტყვაა, რომელიც, ბუნებრივია, ერთხმად გამოაქვეყნა და გაავრცელა იმჟამინდელი ტოტალიტარული რეჟიმის მედიამ.

ორატორმა შეუტია ქართული მწერლობის კორიფეებს: „პროლეტარ-მწერალთა ქართულ ასოციაციასთან ერთად ქართველ მწერალთა წრეში არსებობდა განკერძოებული ჯგუფები: „ცისფერყანწელები“, „აკადემიური ჯგუფი“, „ლეფელები“, „არიფიონელები“ და სხვ. „ცისფერყანწელთა“ ჯგუფში შედიოდნენ: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, გიორგი ლეონიძე და სხვები. ეს ჯგუფი ჯერ კიდევ 1916 წელს ჩამოყალიბდა. სახელწოდებას „ცისფერყანწელები“ გადატანითი მნიშვნელობა ჰქონდა და უნდა აღენიშნა შემოქმედებითი თრობა, მაგრამ ეს დევიზი ცხოვრებაში, ქეიფებსა და ღრეობებში უფრო ხშირად ხორციელდებოდა (სიცილი დარბაზში)“.[15] აქ ორატორის ირონიას დარბაზის საპასუხო რეაქციაც ამძაფრებს: ჩანს, „პროგრესულ რეფორმებს“ ყოველ დროში ჰყავდა თავისი მომწონებელი და ტაშის დამკვრელი. ეს მოხსენება ხომ „ამხ. სტალინის ინიციატივით მიღებულ სკკპ(ბ) ცკ-ს 1932 წლის 23 აპრი-

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ლის დადგენილების ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ“ შედეგების ანალიზს მიეძღვნა. შედეგებიც უკვე სახეზეა: „ქართულ ლიტერატურაში „ცისფერყანწელთა“ შემოქმედება წარმოადგენდა დასავლეთევროპულ და რუსულ ბურჟუაზიულ-დეკადენტურ ლიტერატურის დაგვიანებულ გამოძახილს. სოციალისტური მშენებლობის წარმატებებისა და **„ცისფერყანწელების“ წინააღმდეგ განხორციელებული მძაფრი იდეური ბრძოლის შედეგად ეს ჯგუფი დაიშალა“**[15] (ხაზგასმა აქაც და ქვემოთაც ჩვენია, დ.ტ.).

ანალოგიური ბედი გაიზიარეს სხვა დაჯგუფებებმაც: „აკადემიური ჯგუფი“, რომელიც 1922-1923 წლებში შეიქმნა, უკიდურეს მემარჯვენე ფრთას წარმოადგენდა ქართულ ლიტერატურაში. მასში გაწევრიანებული იყვნენ შემდეგი მწერლები: კონსტანტინე გამსახურდია, ალექსანდრე აბაშელი, გერონტი ქიქოძე, პავლე ინგოროყვა და სხვები. ამ ჯგუფის მიერ გამოცემულ ჟურნალ „კავკასიონის“ პირველ ნომერში[16] ჯგუფი შემდეგნაირად ახდენდა თავისი პოზიციის დეკლარირებას: „ერთადერთი საზომი, რომლითაც მოცემულ შემთხვევაში იხელმძღვანელებს „კავკასიონი“, ეს არის მარადიული ხელოვნების იდეა, რომელიც წარმავალ ლიტერატურულ მოდაზე უფრო მაღლა დგას...“[16] ჟურნალი, ბუნებრივია, მიმზიდველ ცენტრად იქცა ანტისაბჭოთა-შოვინისტურად განწყობილი ინტელიგენციის ნაწილისათვის, მაგრამ **სოციალისტური მშენებლობის წარმატებების და ჩვენი სოციალისტური კულტურის განვითარების შედეგად ეს ე.წ. „აკადემიური ჯგუფიც“ დაიშალა“**.[15] ორატორის პათოსი თანდათან აღმავალი მიმართულებით ისწრაფვის „ძალის პოლიტიკის“ დემონსტრირებისაკენ, ტენდენცია სულ უფრო თვალსაჩინო, აშკარა ხდება: „აკადემიური ჯგუფის“ კიდევ ერთი წარმომადგენელია კ. გამსახურდია, რომლის მსოფლმხედველობა მებრძოლი ნაციონალიზმით განისაზღვრებოდა და მას მკვეთრად გამოხატული ფაშისტური ელფერი დაჰ-

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

კრავდა. თავის ბოლო ნაწარმოებში „მთვარის მოტაცება“, შეეცადა ჩამოშორებოდა ძველ იდეურ პოზიციებს და სოციალური სინამდვილე დაეხატა, მაგრამ ეს ჯერჯერობით სუსტად გამოუვიდა“.[15]

ანალოგიური ხვედრი გაიზიარეს „ლეფელებმაც“, „რომელიც 1924 წელს ჩამოყალიბდა და რომელშიც შედიოდნენ: სიმონ ჩიქოვანი, დემნა შენგელაია, ბესარიონ ჟღენტი, ლადო ასათიანი და სხვანი. მათთვის დამახასიათებელი იყო ფორმალური ნოვატორობა, წვრილბურჟუაზიული მეამბოხეობა. ისინი გამოსცემდნენ სპეციალურ ჟურნალს „H_2SO_4“ (გოგირდმჟავას ქიმიური ფორმულა), (სიცილი დარბაზში). „ლეფელები“ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში გათავისუფლდნენ მათთვის წარსულში დამახასიათებელი აბდაუბდისგან, გადავიდნენ საბჭოთა ლიტერატურის იდეურ პოზიციებზე და ამჟამად ქართული ლიტერატურის მოწინავე რიგებში იბრძვიან“.[15]

არანაკლები პათოსითა და გამარჯვებულის თავდაჯერებით „ამხელს“ ორატორი „არიფიონს“: „ჯგუფში „არიფიონი“, რომელიც 1928 წელს დაარსდა, შედიოდნენ მწერლები: მიხეილ ჯავახიშვილი, შალვა დადიანი, სანდრო შანშიაშვილი, ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე, ილო მოსაშვილი და სხვ. „არიფი“ ჯგუფის ერთ-ერთი წევრის განმარტებით – გ. ქიქოძე: ეს არის თანამესუფრე, ხოლო არიფიონი – გადაკრულში მყოფი ხალხის კავშირია (სიცილი დარბაზში). „მაგრამ ჩვენ ვთვრებით – წერდა ქიქოძე – არა ღვინით, არამედ შემოქმედებითი ურთიერთზემოქმედებით“. ეს ჯგუფი თავისი არსებით ნაკლებად განსხვავდებოდა ზემოხსენებული „აკადემიური“ ჯგუფისგან და ამ უკანასკნელის მსგავსად, ჩვენთვის აშკარად მტრულ, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პოზიციებზე იდგა. თავის სტატიაში, რომელიც ჟურნალ „არიფიონის“ პირველ ნომერში[17] გამოქვეყნდა და ჯგუფის დეკლარაციას წარმოადგენდა, გ. ქიქოძე წერდა: „...რევოლუციამ ვერ შეძლო ევრაზიის ფარგლებს გაცდენოდა, ის დედამიწის

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ერთ მეექვსედ ნაწილში ჩაიკეტა. რა დაუპირისპირა მან ძველ კულტურას? ელექტროფიკაცია, ინდუსტრიალიზაცია, კოოპერაცია... ძველი ღმერთები დაიხოცნენ, კრიტიკულმა აზროვნებამ გაანადგურა ძველი ილუზიები, არ არსებობს ცრურწმენისაკენ უკან დასახევი გზა, მაგრამ სული დაცარიელდა და ამ დაცარიელებული სულის ელექტროდენით შევსება შეუძლებელია“.[17]

ეს იყო აშკარა კონტრრევოლუციური მოწოდება, რომელიც მიმართული გახლდათ საბჭოთა ხელისუფლებისა და ჩვენი სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ. **სოციალიზმის წარმატებისა და ჯგუფ „არიფიონის“ წინააღმდეგ გაშლილი იდეური ბრძოლის შედეგად, ჯგუფმა მოახდინა თვითლიკვიდაცია...“**[15] ასეთი პათოსი ბოლომდე გრძელდება: ავტორის ტენდენცია, მწერლობა კომპარტიის „რკინის ხელს“ დაუქვემდებაროს, აშკარაა და დაუფარავი.

რამდენადმე შეფარული და „უწყინარი“ ჩანს ინტრიგა შემდეგ ნიმუშში: „ინაუგურაციის შემდეგ პუტინმა ათასობით სტუმრიდან მხოლოდ დიანა ღურწკაია გადაკოცნა“.[18] ინფორმაციას ვიდეოც ახლავს, მეტი დამაჯერებლობისთვის. ესეც, უეჭველად, წინა ნიმუშის „გვარისაა“, ვინაიდან სინამდვილის რეალური სურათის ჩვენების, საქმის არსის, მოვლენის მიზეზ-შედეგობრივი გააზრების ნაცვლად, იაფფასიანი ტრიუკის გამოყენებით ცდილობს ავტორი მკითხველის ყურადღების დაძაბვას და მის დაინტრიგებას. არსებითად კი მის მზერას ნაკლებმნიშვნელოვანს მიაპყრობს და ეს არცერთ შემთხვევაში შეიძლება „სიმართლის სიკეთით“ თქმად მივიჩნიოთ; პირუკუ, ავტორის მთელი მონდომება უსინათლო, ქართველი მომღერალი ემიგრანტი გოგონას დისკრედიტაციის სურვილითაა ნაკარნახევი და არანაირი გამართლება აქვს არც „შემოქმედებითი“ და არც ზნეობრივი თვალსაზრისით. ჩვეულებრივ, ასე სწორედ ის „ჟურნალისტები“ ირჯებიან, ვისაც ხელი (და გონება) არ მიუწვდება საქმის

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

არსამდე, ვინც, ნეტარხსენებულ კრილოვს თუ დავიმოწმებთ: „ზოოპარკში სპილოს ვერ ხედავს...“ აქვე კიდევ ერთხელ (ათასმეერთედ) ვრწმუნდებით, რომ ჟურნალისტიკაში ფაქტის შერჩევა უკვე პოზიციაა, უკვე – ხედვაა, უკვე – შეფასებაა და ე.წ. „ობიექტური“ (resp. უპოზიციო) ავტორი ნონსენსია. უნდა ეს მას თუ არა, მისი პიროვნება ყოველთვის მეტ-ნაკლებად „იკითხება“ სტრიქონებშუა. კარგია, რომ მოგვიანებით კორესპონდენტი მოსკოვში დაუკავშირდა მომღერალს და კომენტარის გაკეთების საშუალება მისცა: „თავის გასამართლებელი არაფერი მაქვს. უბრალოდ, მინდა გიამბოთ, როგორ მოვხვდი ვლადიმირ პუტინის ინაუგურაციაზე. ვინაიდან ორგანიზაცია „საზოგადოებრივი პალატის“ წევრი ვარ, ამიტომაც მიმიწვიეს ღონისძიებაზე. საზოგადოებრივ პალატაში სოციალურ საკითხებზე ვმუშაობ, უნარშეზღუდულ ბავშვებს ვეხმარები... ინაუგურაციაზე მიწვეულ სტუმრებთან ერთად ვიდექი, როცა რუსეთის პრეზიდენტი თითონ მომიახლოვდა და გადამკოცნა. სიმართლე გითხრათ, მისგან ამას არ მოველოდი“.[19] თუმცა, შემდეგ მომღერალს მაინც მოუხდა „თავის მართლება“: „ქართველი ხალხი ძალიან მიყვარს და მენატრება, სადაც უნდა ვიყო, საქართველოთი ვცოცხლობ. ჩემს შვილს ქართულ ტრადიციებზე ვზრდი...“[19] შემდგომ ღურწკაია საკუთარ ქმედების ლოგიკურობას გვთავაზობს: „ბევრმა მითხრა, რომ არ წასულიყავი პუტინის ინაუგურაციაზე, ამით რა დაშავდებოდაო. შეიძლებოდა, რომ არ წავსულიყავი, მაგრამ ვინაიდან საზოგადოებრივი პალატის წევრი ვარ, ამ საზოგადოებამ დამაკისრა ვალდებულება ინაუგურაციას დავსწრებოდი. რა ვქნა, აქ ვცხოვრობ, ამ ქვეყანაში ვმოღვაწეობ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველი ხალხი არ მიყვარს. რუსეთის პრეზიდენტი იქნება თუ სხვა ქვეყნის, ყველას მინდა წარვუდგინო საქართველო და ქართველები იმ სილამაზით, როგორებიც ჩვენ, ქართველები ვართ. ყველა მიცნობს, როგორც ქართველს...“[19] ციტირება ძალზე გაგვიგრძელდა.

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ჩვენი პოზიცია კი ასეთია – ვფიქრობ, არცერთ გამოცემას მატებს ღირსებას, პიროვნების დაუმსახურებლად ჩაყენება ამგვარ საჩოთირო სიტუაციაში. ფაქტის, მოვლენის გაუაზრებლად, გაუანალიზებლად „თვალის ერთი შევლებით“ სკანდალურად შეფერვა. ეს ტენდენციურობის ძალზე არაკორექტული, მიუღებელი შემთხვევაა.

მედიატექსტის თავისებურება ისიცაა, რომ აქ გამოიყენება მტკიცების, დასაბუთების ემოციური, სახეობრივი, ექსპრესიული საშუალებანიც. ამ უკანასკნელთ ემოციური მუხტი, განსაკუთრებული შთამაგონებლობა შეაქვთ ტექსტში და ტენდენციის გამჟღავნების, მკითხველის მომხრობის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენენ.

XX-XXI საუკუნეთა მიჯნა ჟანრების ესეიზაციის მოვლენითაც აღინიშნა მედიატექსტის განვითარების, მისი გენეზისის გზაზე, რაც, პირველყოვლისა, ტექსტის პერსონიფიცირებით, ავტორის სახის გამოკვეთით იყო განპირობებული დოკუმენტურ, მკაცრ პროზაში. აქ მაღალი პროფესიონალიზმი, სიტყვის, ფრაზის ფლობის ლამის პოეტური ნიჭი, ინტუიცია, მეტაფორული აზროვნება და ფაქიზი ალღო არ უნდა ღალატობდეს ავტორს, რომ სიყალბის გარეშე გაიაროს შემოქმედებითი აზროვნების უფაქიზეს ბეწვის ხიდზე, აზრით დატვირთული ემოციისა და ექსპრესიით გაჯერებული „ლოგიკური ფანტაზირებით“ იპოვოს უმოკლესი გზა მკითხველის გულსა და გონებამდე. ამონარიდი მაკა ჯოხაძის „სისხლიანი მეტაფორიდან“[20] ამგვარი მაღალი პუბლიცისტიკის მეტყველი ნიმუშია:

„...მოდი, ფიფქზე ვილაპარაკოთ, რომელიც დნება მკვდარი ცხენის ღიად დარჩენილ თვალის კაკალზე, „ხომ ხოცავენ ქანცგაწყვეტილ ცხენებს“ – სასტიკი ფილმის სასტიკი სათაური – დღევანდელი საქართველოს სისხლიანი მეტაფორა.

მოდი, მეტაფორებზე ვილაპარაკოთ – სისხლიან ყვავილებზე, რომლებსაც ოდითგან ასე წვრთნიდნენ მეფე-

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

პოეტები, რადგან მეტაფორას ყოველთვის ეკლის გვირგვინი ედგა და რწმენასთან ერთად ნიშნავდა ჯვარცმას. ჩვენი ჯვარცმული მეფეები. ჩვენი ჯვარცმული პოეტები – XXI საუკუნის ყველაზე დიდი ნოსტალგია...

მოდი, ნოსტალგიაზე ვილაპარაკოთ, ყველაზე დიდ ნოსტალგიაზე... მოდი, იმდენ ხანს ვილაპარაკოთ, რომ იქნებ, მოხდეს სასწაული, „ცუდი უსასრულობიდან“ უძღები შვილივით, იქნებ, დაბრუნდეს დიდი სინანული...

მოდი, სინანულზე ვილაპარაკოთ, რომელიც ალღობს ყინულის ლოდად ქცეულ გულებს და ცრემლით დანამულ საფლავებზე ამოჰყავს ია...

მოდი, იებზე ვილაპარაკოთ, წყნეთის დამრეცი ფერდობებიდან აპრილის მზეში კალათებით რომ ჩამოჰქონდათ სოფლელ ბიჭებს და კი არ ყიდდნენ, ცისფერ გოგონებს ასაჩუქრებდნენ. სიყვარული, სიმორცხვე და ეს გულუხვობა ერისთავის თბილისურმა ტილოებმა შემოინახა.

მოდი, თბილისზე ვილაპარაკოთ, მზის და ვარდების ამ თბილ მხარეზე, რომელიც ახლა კვამლისფერია, „თბილისიი, ჩვენი დედა თბი-ლი-სიიი“... ნეტა როგორ თბილისს უმღერებენ მზიური ბავშვობიდან ამოზრდილი გოგო-ბიჭები დღეს.

მოდი, იმედზე ვილაპარაკოთ, რომელიც ყველაზე ბოლოს კვდება და ისე კვდება, აქლემივით არასოდეს იჩოქებს კართან.

მოდი, ვინატროთ, რომ „სამართალმა პური ჭამოს“, რა ხანია აღარ გვინატრია. ალბათ, ისე გადავიღალეთ, ნატვრის ენერგიაც აღარ შეგვრჩა. და მაინც ვინატროთ, სუფრაც გავშალოთ, ღვინოც შევსვათ და დაჩოქილი საქართველოც ვადღეგრძელოთ, ოღონდ ტირანებთან არა, საერთაშორისო სავალუტო ფონდებთან დაჩოქილი არა...

პირჯვარი გადავისახოთ და ისე ვადღეგრძელოთ:

მხოლოდ ხატთან, მხოლოდ უფლის წინაშე მუხლმოდრეკილ საქართველოს გაუ-მარ-ჯოს!“[20]

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

აქ ტენდენცია ცალსახაა და გამჭვირვალე: თითქოს, გულისცემასავით ისმის ლოგიკური ჯაჭვის რიტმული, ტემპ-მოზომილი სვლა იმ უმთავრესი სათქმელისაკენ, თანადროული რეალობის ექსპრესიული შეფასებებით, წარსულისა და აწმყოს გასიგრძეგანებით რომ მიიკვლევს გზას და მართლაც, „სისხლიანი მეტაფორის“ ლაიტმოტივით შეაჟრჟოლებს ყოველი პიროვნების სულსა და გულში დაგუბულ სევდასა და მონატრებას, იმედსა და ნოსტალგიას მხოლოდ „ხატთან, მხოლოდ უფლის წინაშე მუხლმოდრეკილ საქართველოზე“...

ამრიგად, როცა ინტრიგას ტენდენცია ცვლის: „არა აღსაწერი ფაქტები ან მოვლენები თავისთავად“, არამედ ის ძირითადი აზრი, იდეა, შეფასება, რაც მათი ურთიერთშეჯერებითა და ანალიზით, საქმის არსში წვდომის, ჭეშმარიტების ძიების წყურვილით ამოძრავებს გონიერ, განათლებულ ავტორს, რომელიც, ამავდროულად, ზნეობრივი პიროვნებაცაა და არ ღალატობს ჟურნალისტური ეთიკის უზენაეს მაქსიმას, არისტოტელესეულ პრინციპს: „სიმართლის დამკვიდრებისა, სიკეთის სახელით“; როცა ისმის ავტორის ხმა, რომელსაც ენდობი და რომლისაც გჯერა, რომელიც გაგიყოლიებს თავისი აზროვნების, ამბავთთხრობის ლოგიკური მდინარების ლაბირინთებში... თუ მედიატექსტში ასეთი ტენდენცია (სწრაფვა) ცვლის ინტრიგას („ფარულ ქმედებებს, ხრიკებს ვისიმე საზიანოდ“), სწორედ ამ გზაგასაყარზე იქმნება ჭეშმარიტი ჟურნალისტიკა, ასპარეზზე გამოდის მისი უდიდებულესობა – მეოთხე ხელისუფლება.

ლიტერატურა ▫ References

1. Nadare, Maia (2008). *Breaking the Fourth Wall*. Tbilisi: Publishing House Universal, p. 57 (In Georgian).
2. ახვლედიანი ერლომ, ვეძებ სამშობლოს, ლ.ჯი. ესე.
3. Киш Э.Э. (1964). *Репортажи*. Москва, стр. 24.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

4. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი VI, თბილისი, გვ. 1273-1274.
5. უცხო სიტყვათა ლექსიკონი (1989). შემდგენელი: მიხეილ ჭაბაშვილი, თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
6. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი IV, გვ. 763.
7. Remarque, Erich Maria (2012). *Arch Of Triumph*. Fawcett Columbine, New York, NY: The Ballantine Publishing Group, p. 21

(გაზეთის გამყიდველმა ბიჭებმა ჩამოიარეს უახლესი გამოცემებით. მოროზოვმა „პარიზ სუარი“ და „ენტრანსიჟანი“ იყიდა. სათაურები წაიკითხა და გვერდზე გადადო.

– ყველანი წყეული ფარისევლები არიან, – წაიღრინა – ოდესმე დაკვირვებიხარ, რომ ფარისეველთა, ყალბი მონეტის მჭრელთა ეპოქაში ვცხოვრობთ?

– არა, მე ვფიქრობ, კონსერვების საუკუნეში ვცხოვრობთ.

– როგორ თუ, კონსერვების?

რავიკმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედა გაზეთებს.

– ჩვენ ხომ ფიქრი აღარ გვჭირდება: ყველაფერი წინასწარ ნაფიქრი, წინასწარ გადაღეჭილი, წინასწარ გავლილ-გათვლილია. კონსერვები! ქილების გახსნაღა დაგვრჩენია. ჩვენთვის სახლში გვაქვს მომარაგებული, დღეში სამჯერ რომ მივირთვათ. აღარაფრის შექმნა, საკუთარი ხელით აღარაფრის აღმოცენება, შეკითხვების, ეჭვების სურვილების ალზე წვა საჭირო აღარაა. კონსერვები, – გაეცინა მას, – იოლად ნამდვილად არ ვცხოვრობთ, ბორის, ეგაა – იაფად.

– კონსერვები მცდარი იარლიყია. ჩვენ თაღლითების, ყალბი ფულის მჭრელების დროში ვცხოვრობთ! – მოროზოვმა მაღლა აწეული გაზეთები ააფრიალა, – დატკბი! სამხედრო ქარხნებს, თურმე, იმიტომ აგებენ, რომ მშვიდობა სურთ. საკონცენტრაციო ბანაკებს აშენებენ და სიკეთისათვის მებრძოლებად მოაქვთ თავი. არავითარი პოლიტიკური შემწყნარებლობა და, ესეც – სამართლიანობის ნიღბით. პოლიტიკური განგსტერები კაცობრიობის მხსნელებად ასაღებენ თავს, თავისუფლება ძალაუფლე-

BRAMS 2022 Nov
Volume 3, Issue 7
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ბის მაძიებელთა მყვირალა ლოზუნგად იქცა. ყალბი ფულ-ი! ყალბი სულიერი მონეტა! სიცრუის პროპაგანდა, სამზარეულოს მაკიაველიზმი. მაღალი იდეალები ნაძირალათა ხელშია, საიდან უნდა ველოდეთ აქ პატიოსნებას?).
8. Nadare, Maia (2021). *Deontology through the international media law*, Tbilisi: Publishing House Universal (In Georgian).
9. Киш Э.Э. (1964). *Репортажи*. Москва, стр. 149-150.
10. Remarque, Erich Maria (2012). *Arch Of Triumph*. Fawcett Columbine, New York, NY: The Ballantine Publishing Group, p. 150.
11. ბერდიაევი ნიკოლოზ, ქრისტიანობის ღირსებისა და ქრისტიანთა უღირსებობის შესახებ, ლ.ჯი, ესე.
12. Nadare, Maia (2002). *Alpha and Omega of the Publicistic Text: Lead and the Ending*. Tbilisi: Tbilisi University Press, pp. 38-62 (In Georgian).
13. რობაქიძე გრიგოლ (1927). საქართველოს ხერხემალი, ჟურნალი „ქართული მწერლობა“, №1, გვ. 29-37.
14. ახვლედიანი ერლომ, ბრძოლა გრძელდება, ლ.ჯი. ესე.
15. ბერია ლავრენტი, გამოსვლა საქართველოს კომპარტიის X ყრილობაზე, ლ.ჯი. (წყარო: საქართველოს შსს არქივი, (II), ფ.№14, აღწ. №11, ს.№3. საარქივო მოამბე №10).
16. ჟურნ. „კავკასიონი“, №1, 1924 (რედაქტორი: პავლე ინგოროყვა, გამომცემელი: საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო).
17. ჟურნ. „არიფიონი“ №1, 1928 (რედაქტორები: გ. ქიქოძე და ვ. გიორგაძე).
18. PalitraTV.ge via Facebook, ახალი ამბები: უცხოეთი, 7 მაისი, 2012.
19. მაისურაძე ნინო (23 მაისი, 2012). დიანა ღურწკაია: „არ ვიცი, რით ავხსნა პუტინის განსაკუთრებული ყურადღება ჩემს მიმართ“. საინფორმაციო პორტალი ამბები.GE.
20. ჯოხაძე მაკა (2009). სამოთხე უსიყვარულოდ, თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“ (სისხლიანი მეტაფორა, გვ. 5).

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)